




პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების  
განმახორციელებელი დაწესებულებების  
საჭიროებების და პროფესიული განათლების  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
მხარდამჭერი აქტივობების კვლევა



# შინაარსი

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია
2. კვლევის შედეგები
  - 2.1. რესპონდენტების აღწერა
  - 2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები
  - 2.3. მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები
  - 2.4. ცენტრის საკონსულტაციო სერვისის შეფასება
3. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები
  - 3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებები
  - 3.2. მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებები
  - 3.3. ცენტრის საკონსულტაციო სერვისების გაუმჯობესება

# 1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N1231838 ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის დანერგვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხარდაჭერით განახორციელა წინამდებარე კვლევა. კვლევა 2021 წლის აპრილში განხორციელდა. მისი მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებების შესწავლა და ცენტრის მიერ განხორციელებული მხარდაჭერი აქტივობების შეფასება.

კვლევა გაანალიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ისევე როგორც პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებებს და მოსაზრებებს შემდეგი ამოცანების შესასრულებლად:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების/იურიდიული პირების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების/იურიდიულ პირების ფუნქციონირების ხარისხის ამაღლების მიზნით შესაბამისი მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა;
- ცენტრის მხარდაჭერი სერვისების მიმართ დაწესებულებების/იურიდიული პირების/ფიზიკური პირების კმაყოფილების დადგენა.

კვლევა ონლაინ გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით, თვითადმინისტრირებადი, ონლაინ კითხვარის საშუალებით განხორციელდა.

## 2. კვლევის შედეგები

### 2.1. რესპონდენტების აღწერა


კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;
- იურიდიული პირები, რომლებიც პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ახორციელებენ;
- ფიზიკური პირები, რომლებმაც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2020 წლის განმავლობაში მიიღეს კონსულტაცია.

სულ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 85-მა რესპონდენტმა. გამოკითხული დაწესებულებებიდან 73 დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აქედან 35 გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებთან ერთად პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებსაც სთავაზობს სტუდენტებს. გამოკითხული დაწესებულებებიდან, მხოლოდ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს 6 დაწესებულება ახორციელებს. რესპონდენტებს შორის იყო 6 პირი, რომლებიც არ ახორციელებენ პროფესიულ პროგრამას, მაგრამ ცენტრისგან 2020 წლის განმავლობაში მიიღეს კონსულტაცია.

დიაგრამა 1


### კვლევის რესპონდენტები



ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, გამოკითხული 73 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან უმრავლესობა (33) კერძო დაწესებულებას წარმოადგენდა, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იყო 28 დაწესებულება, 12 კი - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული).

## დიაგრამა 2


### პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების სამართლებრივი ფორმა



მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირების შემთხვევაში უმრავლესობას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებები წარმოადგენდნენ (15). გამოკითხულთა შორის იყო 11 შპს და 9 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

## დიაგრამა 3


### მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირების სამართლებრივი ფორმა



რესპონდენტებს შორის წარმოდგენილი იყო ქვეყნის ყველა რეგიონი. დაწესებულებების ნაწილი საქმიანობას რამდენიმე რეგიონშიც ახორციელებდა, ყველაზე მეტი დაწესებულება კი დედაქალაქში იყო წარმოდგენილი.

#### დიაგრამა 4

### გამოკითხული დაწესებულებების გეოგრაფიული განაწილება




#### 2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები

73 გამოკითხული პსდ-ებისგან, 71 დაწესებულების წარმომადგენელი დაესწრო 2020 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ რომელიმე ტრენინგს, საინფორმაციო შეხვედრას, ან სემინარს. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აქტივობები ონლაინ რეჟიმში ჩატარდა, ამიტომ, კვლევის ფარგლებში ონლაინ ფორმატით კმაყოფილებაც შევისწავლეთ. ონლაინ აქტივობების ეფექტურობა რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან არაეფექტურს, 5 კი - ძალიან ეფექტურს. როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტების 76%-მა უმაღლესი ქულით შეაფასა ფორმატის ეფექტურობა, 24%-მა კი - 4 ქულით. ამაზე დაბალი შეფასება დაწესებულებებს არ დაუფიქსირებიათ.

დიაგრამა 5


გთხოვთ, 5 ქულიან სკალაზე შეაფასოთ რამდენად ეფექტური იყო ჩატარებული აქტივობების ონლაინ ფორმატი, სადაც 1 ნიშნავს ძალიან არაეფექტურს, ხოლო 5 - ძალიან ეფექტურს (%)



იმ მოსაზრებას, რომ აქტივობების ორგანიზაციული მხარე კარგად იყო მოწესრიგებული ეთანხმება 71-დან 66 დაწესებულება, ნაწილობრივ ეთანხმება 4 და არ ეთანხმება 1.

დიაგრამა 6

რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?



მსგავსი სურათი იკვეთება შინაარსობრივი მხარით კმაყოფილებასთან მიმართებაშიც, თუმცა, ტრენინგის ხანგრძლივობით დაწესებულებების უფრო დიდი ნაწილი იყო უკმაყოფილო.

ტრენინგების ეფექტურობის მნიშვნელოვანი საზომია ის, თუ აღნიშნული ტრენინგებიდან რამდენად კარგად მიიღეს დაწესებულებებმა საჭირო ცოდნა, იმისთვის, რომ შემდგომ საქმიანობა წარმართონ სტანდარტებთან შესაბამისობაში. კვლევის ფარგლებში დაწესებულებებს ვთხოვეთ ავტორიზაციის სტანდარტების თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში ტრენინგების ამ კუთხით შეფასება.

ყველაზე მეტმა რესპონდენტმა (22 დაწესებულება) ფინანსური რესურსების მართვის კუთხით ტრენინგების ნაკლებ ეფექტურობას გაუსვა ხაზი. ასევე, გამოიკვეთა უფრო ეფექტური ტრენინგების ჩატარების საჭიროება შემდეგ საკითხებზე: პერსონალის განვითარება, პერსონალის და პროცესების მართვა, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტების შეფასება.



## დიაგრამა 7

რამდენად მიიღო თქვენმა დაწესებულებამ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, საინფორმაციო შეხვედრებით, ან სემინარებით საქმიანობის უკეთესად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საჭირო ცოდნა? გთხოვთ, შეაფასოთ მიღებული



რესპონდენტებს ვთხოვეთ, გამოეკვეთათ ავტორიზაციის სტანდარტების რომელ კომპონენტთან მიმართებაში აწყდებოდნენ ყველაზე დიდ გამოწვევებს და რა მიმართულებით სჭირდებოდათ ცოდნის გაღრმავება (მათ შვედლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნაც). ყველაზე მეტმა, 38-მა დაწესებულებამ, პრიორიტეტი მიანიჭა პერსონალის განვითარების მიმართულებით ცენტრის მხარდაჭერის გაძლიერებას, 29 აირჩია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტების შეფასება.

### დიაგრამა 8

ვთხოვეთ, ქვემოთ მოცემული ავტორიზაციის სტანდარტების კომპონენტებიდან მონიშნოთ ის სამი კომპონენტი, რომელიც თქვენი დაწესებულებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ყველაზე მეტად გჭირდებათ ცენტრის მხარდაჭერა



კვლევის მონაწილეებს ასევე ვთხოვეთ, რომ ცენტრისთვის უფრო დეტალური რეკომენდაციები მოეწოდებინათ იმასთან დაკავშირებით, თუ რის გაუმჯობესებას

ისურვებდნენ ჩატარებულ ტრენინგებში. მონოდებულ რეკომენდაციებში გამოიკვეთა უფრო მცირე ზომის ჯგუფთან ტრენინგების ჩატარების სურვილი, იმისთვის, რომ შეხვედრები იყოს უფრო ინტერაქტიული და მოიცავდეს მეტ დისკუსიას. რამდენიმე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა პრაქტიკული სავარჯიშოებს, მაგალითებს და რეალურ ქეისებზე დაყრდნობით ტრენინგების ჩატარების საჭიროებას.


დანესებულებები ასევე გამოთქვამდნენ სურვილს, რომ რეგიონის დანესებულებებთან ჩატარდეს ცალკე ტრენინგები, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის დანესებულებების საჭიროებები ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების კონტექსტისგან. ასევე, გამოითქვა სურვილი ექსპერტებთან ერთობლივი ტრენინგის ჩატარების შესახებ, იმისთვის, რომ თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასების ერთგვაროვანი მიდგომები ჩამოყალიბდეს.

ტრენინგის თემატიკასთან დაკავშირებით გამოითქვა სურვილი ჩატარდეს პრაქტიკული სახის ვორქშოპი გამოკითხვის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემების გასაანალიზებლად. ასევე, დასახელდა ცოდნის გაღრმავების სურვილი სტუდენტების მოზიდვისთვის ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების და ბაზრის საჭიროებების შესწავლის მიმართულებით.

### 2.3. მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დანესებულებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ 41 დანესებულება, რომლებიც მომზადება-გადამზადების პროგრამებს ახორციელებდნენ. ამათგან, 32 დანესებულებას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ცენტრის მიერ 2020 წლის განმავლობაში ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებსა და შეხვედრებში. რესპონდენტებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ ტრენინგების ონლაინ ფორმატის ეფექტურობა. გრძელვადიანი პროგრამების განმახორციელებლების მსგავსად, აქაც პოზიტიური სურათი გამოიკვეთა. 28 დანესებულება განხორციელებული აქტივობების ონლაინ ფორმატს უმაღლესი ქულით აფასებს, 4 კი - 4 ქულით.


დიაგრამა 9



რესპონდენტებმა კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვითაც შეაფასეს ჩატარებული ტრენინგები. შინაარსის, ხანგრძლივობის და ორგანიზების საკითხებთან მიმართებაში მეტწილად დადებითი შეფასებები დაფიქსირდა. რამდენიმე რესპონდენტის შემთხვევაში გამოიკვეთა ნაწილობრივი უკმაყოფილება ტრენინგის ხანგრძლივობასთან და შინაარსთან დაკავშირებით.

დიაგრამა 10

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს




პროგრამების ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასთან ტრენინგების ბმის უფრო დეტალურად შესასწავლად რესპონდენტებს სტანდარტების თითოეული კომპონენტის მიხედვით ვთხოვეთ ჩატარებული ტრენინგების შეფასება. მონაცემებიდან ჩანს, რომ მონაწილეები მეტწილად პოზიტიურად აფასებენ აქტივობებს,

თუმცა, ნათლად ჩანს ტრენინგების ნაკლები ეფექტურობა შემდეგ საკითხებში: შრომის ბაზრის ანალიზი/კვლევა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, მსმენელთა შერჩევის პროცედურები, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა ასახვა, სერთიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხები, საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირების საკითხები.

## დიაგრამა 11

რამდენად მიიღო თქვენმა დაწესებულებამ აღნიშნული ტრენინგებით, საინფორმაციო მეხვედრებით და სემინარებით მომზადება/გადამზადების პროგრამების უკეთესად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საჭირო ცოდნა? გთხოვთ შეათვასოთ მიღებული ცოდნა ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული კომპონენტი




ღია კითხვის ფარგლებში რესპონდენტებისგან უფრო ვრცელი პასუხები მივიღეთ ტრენინგებისთვის მათთვის ყველაზე საინტერესო და საჭირო საკითხებზე. ასეთ საკითხებს შორის გამოიკვეთა არაფორმალური განათლების აღიარება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების თავისებურებები, პროგრამის დონის განსაზღვრა და შინაარსის შედგენა.

#### 2.4. ცენტრის საკონსულტაციო სერვისის შეფასება

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საკონსულტაციო მომსახურების შეფასება. გამოკითხული რესპონდენტებისგან 73 ჰქონდა მსგავსი სერვისი მიღებული 2020 წლის განმავლობაში. ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმა სატელეფონო კონსულტაცია იყო (79%), 60%-ს კონსულტაცია Zoom-ის, ან Teams-ის საშუალებით ჰქონდა მიღებული, 52%-ს ელ. ფოსტის საშუალებით, 22%-ს კი პირისპირ შეხვედრის სახით.


დიაგრამა 12

რა ფორმატით მიიღეთ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან კონსულტაცია?(%)  
(შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)



რესპონდენტებმა მიღებული სერვისები სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეაფასეს. გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობის მოსაზრებით, ცენტრისგან გამოგზავნილი მასალები შეესაბამებოდა მათ საჭიროებებს და ამომწურავი იყო, მიღებული კონსულტაცია იყო თანამშრომლობითი და დაინტერესებული პირები ახერხებდნენ მათთვის გასაგებ ენაზე საჭირო ინფორმაციის მიღებას.

გთხოვთ, შეაფასოთ მიღებული კონსულტაცია. რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ თითოეულ მოსაზრებას?



სერვისის გაუმჯობესებისთვის მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა კონკრეტული მოსაზრებები. ერთი დაწესებულების მოსაზრებით, სასარგებლო იქნებოდა ცენტრში შემოსული კითხვებისა და პასუხების ერთიან სივრცეში გაერთიანება, სადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

### 3. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

#### 3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები პოზიტიურად აფასებდნენ სტანდარტებთან დაკავშირებით მათთვის ჩატარებულ ტრენინგებს როგორც ორგანიზაციული, ასევე შინაარსობრივი კუთხით. კონკრეტულ საკითხებზე გამოიკვეთა საჭიროება დაწესებულებებისთვის უფრო პრაქტიკული და დეტალური ცოდნის მიწოდების შესახებ. სასურველია, რომ მომავალ ტრენინგებში მეტი აქცენტი გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე: პერსონალის განვითარება, პერსონალის და პროცესების მართვა, ფინანსურის რესურსების მართვა პროფესიული სტუდენტების



მხარდაჭერის ღონისძიებები, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიული სტუდენტების შეფასება. კონკრეტულ საინტერესო თემებად დასახელდა ასევე სტუდენტების მოზიდვისთვის ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები, ბაზრის საჭიროებების შესწავლის პრაქტიკული მეთოდები და გამოკითხვის შედეგების ანალიზის უნარები.

ასევე, სასურველია, პსდ-ებთან ტრენინგები მცირე ჯგუფებში ტარდებოდეს იმისთვის, რომ შეხვედრები მაქსიმალურად ინტერაქტიული იყოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინტრენინგების შემთხვევაში, როცა ინტერაქტიულობა გამოწვევას წარმოადგენს. აუცილებელია, ტრენინგები მოიცავდეს პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რეალური ქვისების განხილვას და აქტიურ დისკუსიებს. კვლევის მონაწილეებმა ასევე სურვილი გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ინდივიდუალური ტრენინგები ჩატარდეს რეგიონის დაწესებულებებთან, მათი სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე.

### 3.2. მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საჭიროებები

მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შემთხვევაშიც მეტწილად პოზიტიური შეფასებები გამოიკვეთა, თუმცა რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ცოდნის გაღრმავების საჭიროებას შემდეგი მიმართულებით: შრომის ბაზრის ანალიზი/კვლევა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, მსმენელების შერჩევის პროცედურები, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა ასახვა, სერთიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხები, საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირების საკითხები.

### 3.3. ცენტრის საკონსულტაციო სერვისების გაუმჯობესება

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად, ცენტრმა შეძლო პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სერვისების შეუწყვეტლად მიწოდება. რესპონდენტები პოზიტიურად აფასებდნენ ონლაინტრენინგების და კონსულტაციების ხარისხს, რაც მომავალში ამ ფორმატის გამოყენების პოტენციალს წარმოაჩენს. ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, შესაძლებელია, დისტანციური შეხვედრების ფორმატის მომავალში გამოყენებაც.

რესპონდენტები დადებითად აფასებდნენ ცენტრისგან დისტანციურად მიღებულ საკონსულტაციო სერვისებს, თუმცა, ისურვებდნენ, რომ ცენტრის მიერ კონკრეტული დაწესებულებებისთვის მიწოდებული კონსულტაცია ხელმისაწვდომი იყოს სხვებისთვისაც. სასურველია, ცენტრის დაინტერესებული პირებისთვის ვებგვერდზე არსებული ხშირად დასმული კითხვების განყოფილების უფრო აქტიურად განახლება და გაზიარება.